

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია
გირო კრედიტი

ფინანსური ანგარიშგება
და
აუდიტის დასკვნა

31 დეკემბერი 2014

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს თარგმანს ინგლისური ენაზე გამოცემული ორიგინალიდან

შინაარსი

	გვერდი
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	1
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2-3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულის მოძრაობის ანგარიშგება	7
განმარტებითი შენიშვნები	8-16

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მე-2 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტის“ („მისო“) ფინანსურ ანგარიშგებასთან მიმართებაში მისოს ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნისათვის.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს მისოს ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს ამავე თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- განცხადებაზე, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ფასს მსს-ის მიხედვით და მნიშვნელოვანი გადახრები ფასს მსს-დან წარმოდგენილი და ახსნილი;
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში მისოს ბიზნესის ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მისოში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერ დროს, გონივრული სიზუსტით წარმოადგენს მისოს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ მისოს ფინანსური ანგარიშგება შეესაბამება ფასს მსს-ის მოთხოვნებს;
- სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- მისოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების გახორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული 2014 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით, ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2015 წლის 3 აპრილს.

გიორგი გუგუშვიტი
დირექტორი

მარიანა მხითარაძე
ბუღალტერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტის“ მფლობელებს და ხელმძღვანელობას:

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი შპს „მისო გირო კრედიტის“ („მისო“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და სრული შემოსავლების, კაპიტალში ცვლილებების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებებს 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის ძირითად პრინციპებსა და სხვა განმარტებით შენიშვნებს („ფინანსური ანგარიშგება“).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მსს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც უნდა უზრუნველყოფდეს მომზადებას და სამართლიან წარდგენას ფინანსური ანგარიშგებისა, რომელიც არ შეიცავს როგორც შეცდომით, ისე თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენს მიერ ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება ამ ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტი ტარდება აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენ დავიცვათ ეთიკის მოთხოვნები და დავგეგმოთ და განვახორციელოთ აუდიტი გონივრული რწმუნების მოსაპოვებლად იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება თავისუფალი არსებითი უზუსტობებისგან.

აუდიტი მოიცავს პროცედურების გახორციელებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ინფორმაციაზე. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის მსჯელობაზე, მათ შორის ფინანსურ ანგარიშგებაში როგორც თაღლითობით, ისე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებაზე, ამ რისკის შეფასებისას, აუდიტორი ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემას, რომელიც შეესაბამება ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და სამართლიან წარდგენას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკის და ბუღალტრული შეფასებების შესაბამისობის შეფასებას.

ჩვენ ვთლით, რომ აუდიტორული მტკიცებულებები, რომლებიც ჩვენ მოვიპოვეთ არის საკმარისი და შესაფერისი საფუძველი აუდიტორული მოსაზრების გამოსახატავად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტის“ ფინანსურ მდგომარეობას 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მის ფინანსურ საქმიანობას და ფულის მოძრაობას ამ თარიღში დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

3 აპრილი 2015

არ ეს ემ კაპტო

შპს მისო გირო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგება
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სრული შემოსავლის ანგარიშგება

		2014	2013
	შენიშვნა	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი	4	1,081,460	820,849
საპროცენტო ხარჯი	4	(342,542)	(197,606)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	4	738,918	623,243
სესხის გაუფასურების ზარალი	10	(170,466)	(189,108)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ზარალის შემდეგ		568,452	434,135
შემოსავალი ჯარიმებიდან	5	222,199	161,840
წმინდა მოგება ვალუტებით ვაჭრობიდან		143,469	36,571
სხვა საოპერაციო შემოსავალი		14,085	21,787
საოპერაციო ხარჯები	6	(303,178)	(191,435)
კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)	7	31,762	28,926
მოგება გადასახადამდე		676,789	491,824
მოგების გადასახადის ხარჯი	8	(128,445)	(102,357)
წლის მოგება		548,344	389,467

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2015 წლის 3 აპრილს.

გორგი გუგუშვიტი
 დირექტორი

მარიანა მხითარაძე
 ბუღალტერი

შპს მისო გირო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგება
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		2014	2013
	შენიშვნა	ლარი	ლარი
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	737,697	353,669
გაცემული სესხები	10	3,945,824	2,346,403
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი		-	32,991
სხვა აქტივები		1,323	541
ფული და ფულის ეკვივალენტები	11	336,861	123,370
სულ აქტივები		5,021,705	2,856,974
კაპიტალი			
მფლობელთა კაპიტალი	12	251,083	251,083
გაუნაწილებელი მოგება		1,089,883	706,270
სულ კაპიტალი		1,340,966	957,353
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	13	3,537,116	1,839,740
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	14	109,847	52,153
სხვა ვალდებულებები		13,322	7,728
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება		20,454	-
სულ ვალდებულებები		3,680,739	1,899,621
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,021,705	2,856,974

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2015 წლის 3 აპრილს.

გორგი გუგუშვიტი
 დირექტორი

მარიანა მხითარაძე
 ბუღალტერი

შპს მისო გირო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგება
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	მფლობელთა კაპიტალი ლარი	გაუნაწილე- ბელი მოგება ლარი	სულ ლარი
ნაშთი 2013 წლის 1 იანვარს	251,083	350,826	601,909
წლის მოგება	0	389,467	389,467
სულ სრული შემოსავალი	0	389,467	389,467
გადახდილი დივიდენდები - 2012 წლის საბოლოო	0	(34,023)	(34,023)
ნაშთი 2013 წლის 31 დეკემბერს	251,083	706,270	957,353
წლის მოგება	0	548,344	548,344
სულ სრული შემოსავალი	0	548,344	548,344
გადახდილი დივიდენდები - 2013 წლის საბოლოო	0	(164,731)	(164,731)
ნაშთი 2014 წლის 31 დეკემბერს	251,083	1,089,884	1,340,967

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2015 წლის 3 აპრილს.

გორგი გუგუშვიტი
 დირექტორი

მარიანა მხითარაძე
 ბუღალტერი

შპს მისო გირო კრედიტი
 ფინანსური ანგარიშგება
 2014 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ფულის მოძრაობის ანგარიშგება

ფულის მოძრაობა საოპერაციო საქმიანობაში	შენიშვნა	2014	2013
		ლარი	ლარი
წლის მოგება		548,344	389,467
კორექტირებები:			
მოგების გადასახადის ხარჯი		128,445	102,357
ცვეთა და ამორტიზაცია	6	34,634	14,096
ზარალი საოფისე აღჭურვილობის გაყიდვიდან		-	1,059
საოპერაციო აქტივების და ვალდებულებების ცვლილება:			
გაცემული სესხების ზრდა		(1,599,421)	(1,333,635)
სხვა აქტივების შემცირება/(ზრდა)		(782)	10,998
სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		5,594	(9,215)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფული		(883,186)	(824,873)
გადახდილი მოგების გადასახადი		(17,451)	(149,400)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		(900,637)	(974,273)

ფულის მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობაში			
ძირითადი საშუალებების შეძენა	9	(418,517)	(71,650)
ამონაგები ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		-	445
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფული		(418,517)	(71,205)

ფულის მოძრაობა საფინანსო საქმიანობაში			
მიღებული სესხების ზრდა		1,697,376	1,158,008
გადახდილი დივიდენდი		(164,731)	(34,023)
საფინანსო საქმიანობიდან გენერირებული ფული		1,532,645	1,123,985
ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა		213,491	78,507
ფულის და ფულის ეკვივალენტების მოძრაობა			
ნაშთი წლის დასაწყისში		123,370	44,863
ზრდა		213,491	78,507
ნაშთი წლის ბოლოს	11	336,861	123,370

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2015 წლის 3 აპრილს.

გიორგი გუგუშვიტი
 დირექტორი

მარიანა მხითარაიანი
 ბუღალტერი

განმარტებითი შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გირო კრედიტი“ („მისო“) რეგისტრირებულია და ფუნქციონირებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად (დაფუძნდა 2010 წლის 21 ოქტომბერს). ოფისის მისამართია: თბილისი, გამსახურდიას გამზირი 3. მისოს ძირითადი საქმიანობაა ავტომატური, ძვირფასი ლითონებით, უძრავი ქონებით და კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილი მიკრო სესხების (ერთ მსესხებელზე 50,000 ლარამდე) გაცემა. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის სტატუსის დარეგისტრირება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ მოხდა 2011 წლის 20 დეკემბერს.

მისოს დამფუძნებელი და 100%-ის მფლობელია გიორგი გუგუშვილიძე.

მისო-ში 2014 წლის 31 დეკემბერს დასაქმებული იყო 21 თანამშრომელი (2013 წლის 31 დეკემბერს: 12).

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2015 წლის 3 აპრილს.

2 მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობითმცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („ფასს მს“) შესაბამისად, რომელიც გამოშვებულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიერ. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულებების პრინციპის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ქვემოთ წარმოდგენილი სააღრიცხვო პოლიტიკა სხვა პრინციპს ითვალისწინებს.

ფინანსური ინსტრუმენტები

(ა) გაცემული სესხები

გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, მისო აფასებს არის თუ არა ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით გაზომილი ფინანსური აქტივების გაუფასურების ობიექტური სამხილი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს ამგვარი სამხილი, მისო დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულებას შორის. ეს უკანასკნელი განისაზღვრება აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებით.

(ბ) მიღებული სესხები

მიღებული სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (რაც მოიცავს გარიგების ხარჯებს) და შემდგომში იზომება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება

(ა) საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით.

(ბ) შემოსავალი ჯარიმებიდან

შემოსავალი ჯარიმებიდან აღიარდება მაშინ, როცა ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებას, გამოიყენოს მსესხებელზე ჯარიმის დაკისრების უფლება, ამ უკანასკნელის მიერ სასესხო ხელშეკრულების დარღვევის გამო.

(გ) წმინდა მოგება ვალუტებით ვაჭრობიდან

მოგება/ზარალი ვალუტებით ვაჭრობიდან ითვლება სხვაობით ვაჭრობაში გამოყენებულ გაცვლით კურსსა და სებ-ის ოფიციალურ გაცვლით კურსს შორის ტრანზაქციის თარიღში და აღიარდება ტრანზაქციის შედეგად.

(დ) საოპერაციო ხარჯები

თანამშრომელთა ხარჯი - დარიცხული ხელფასის, ბონუსების და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც თანამშრომლების მიერ გაიწევა შესაბამისი მომსახურება. კომპანიას არ აქვს შრომითი საქმიანობის შემდგომი ვალდებულებები.

საოფისე იჯარა - საოპერაციო იჯარის გადასახდელები აღიარდება წრფივი მეთოდით, კონტრაქტით გათვალისწინებული იჯარის ვადის განმავლობაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

მისოს სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის გახორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსები:

	<u>აშშ დოლარი</u>	<u>ევრო</u>
გაცვლითი კურსი 2014 წლის 31 დეკემბერს	1.86	2.27
გაცვლითი კურსი 2013 წლის 31 დეკემბერს	1.74	2.39
საშუალო გაცვლითი კურსი 2014 წლისთვის	1.77	2.35
საშუალო გაცვლითი კურსი 2013 წლისთვის	1.66	2.21

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი წარმოადგენს მთლიან თანხას, რომელიც აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში მიმდინარე მოგების გადასახადთან და გადავადებულმოგების გადასახადთან დაკავშირებით.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდების დასაბეგრი მოგების ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის გადასახდელი ან გამოყენებადი თანხა.

გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი ან ვალდებულება აღიარდება წარსულში მომხდარი ოპერაციების შედეგად მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში გამოყენებად ან გადასახდელ თანხებთან დაკავშირებით. გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიქმნება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობების (ცნობილი, როგორც დროებითი სხვაობა) არსებობის გამო.

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება აღიარდება ყველა იმ დროებითი სხვაობებისთვის, რომელთა გამო მოსალოდნელია მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში დასაბეგრი მოგების გაზრდა. გადავადებული მოგების გადასახადის აქტივი აღიარდება ყველა იმ დროებითი სხვაობებისთვის, რომელთა გამო მოსალოდნელია მომავალ საანგარიშგებო პერიოდებში დასაბეგრი მოგების შემცირება და აგრეთვე გამოუყენებელი საგადასახადო ზარალისთვის.

გადავადებული მოგების გადასახადი გამოითვლება დასაბეგრი მოგების (ზარალის) იმ პერიოდის საგადასახადო განაკვეთზე გამრავლებით, როდესაც მენეჯმენტის მოლოდინით უნდა მოხდეს საგადასახადო აქტივის რეალიზაცია ან საგადასახადო ვალდებულების დაფარვა.

მფლობელთა კაპიტალი და გადასახდელი დივიდენდები

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება მისოს დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. გასაცემი დივიდენდების ვალდებულება აღიარდება იმ საანგარიშგებო წელს, როდესაც ხდება მათი გამოცხადება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია ღირებულებასა და დაგროვილ ცვეთას, ასევე, არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების რეზერვს შორის სხვაობით.

დაუმთავრებელი მშენებლობის ცვეთა არ ხდება. ყველა სხვა აქტივზე ცვეთის დარიცხვა, ღირებულებასა და ნარჩენ ღირებულებას შორის სხვაობის სასარგებლო მომსახურების ვადაზე განაწილების მიზნით, წარმოებს წრფივად. საოფისე ფართზე გამოიყენება წლიური 2%-იანი განაკვეთი, ხოლო საოფისე აღჭურვილობაზე – წლიური 14%-იანი განაკვეთი.

თუ არსებობს ძირითადი საშუალებების ცვეთის განაკვეთის, სასარგებლო მომსახურების ვადის ან ნარჩენი ღირებულების მნიშვნელოვანი ცვლილების ინდიკაცია,ახალი მოლოდინების ასახვის მიზნით, ცვეთის დარიცხვის ცვლილება აისახება არა რეტროსპექტულად.

ძირითადი საშუალების რეალიზაციით წარმოქმნილი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა მიღებულ საფასურსა და ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება შესაბამისი პერიოდის მოგებად ან ზარალად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ინდიკაცია. თუ ამგვარი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა აფასებს აქტივის (აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც წარმოადგენს უდიდესს აქტივის რეალურ ღირებულებასა და გამოყენებით ღირებულებას შორის. გაუფასურების შემთხვევაში აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ სიდიდით, რითაც იგი აღემატება ამ აქტივის გადაფასების რეზერვს კაპიტალში.

3 მსჯელობები და შეფასების განუსაზღვრელობის საკვანძო მიზეზები

ხელმძღვანელობამ გააკეთა შეფასებები ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებით, როგორც ეს წარმოდგენილია მე-10 განმარტებით შენიშვნაში.

4 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

	2014	2013
	ლარი	ლარი
საპროცენტო შემოსავალი ავტომატურად უზრუნველყოფილი სესხებიდან	366,943	330,552
საპროცენტო შემოსავალი ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხებიდან	396,704	218,529
საპროცენტო შემოსავალი უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხებიდან	233,103	142,434
საპროცენტო შემოსავალი კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილი სესხებიდან	84,710	129,334
	1,081,460	820,849
საპროცენტო ხარჯი ბანკებისგან მიღებულ სესხებზე	(230,485)	(108,298)
საპროცენტო ხარჯი ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხებზე	(112,057)	(89,308)
	(342,542)	(197,606)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	738,918	623,243

5 შემოსავალი ჯარიმებიდან

	2014	2013
	ლარი	ლარი
შემოსავალი ჯარიმებიდან ავტომანქანით უზრუნველყოფილ სესხებზე	95,025	86,773
შემოსავალი ჯარიმებიდან ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილ სესხებზე	101,627	54,111
შემოსავალი ჯარიმებიდან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე	25,481	20,956
შემოსავალი ჯარიმებიდან კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილ სესხებზე	66	-
	222,199	161,840

6 საოპერაციო ხარჯები

	2014	2013
	ლარი	ლარი
თანამშრომელთა ხარჯი	179,933	113,740
ცვეთა და ამორტიზაცია	34,634	14,096
პროფესიონალური მომსახურება	12,063	12,280
მარკეტინგი	10,075	10,325
საოფისე იჯარა	10,648	9,989
კომუნიკაცია	7,582	7,465
კომუნალური ხარჯები	8,570	5,938
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	10,891	4,902
სხვა საოპერაციო ხარჯები	28,782	12,700
	303,178	191,435

7 კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება/(ზარალი)

	2014	2013
	ლარი	ლარი
კურსთა შორის სხვაობის მოგება	234,223	107,190
კურსთა შორის სხვაობის ზარალი	(202,461)	(78,264)
	31,762	28,926

8 მოგების გადასახადის ხარჯი

	2014	2013
	ლარი	ლარი
მიმდინარე გადასახადი	70,751	50,292
გადავადებული გადასახადი (იხ. მე-14 განმარტებითი შენიშვნა)	57,694	52,065
	128,445	102,357

მოგების გადასახადი არის წლიური მოგების 15%.

2014 წლის მოგების გადასახადის ხარჯი 128,445 ლარი (2013: 102,357 ლარი) განსხვავდება იმ თანხისგან, რომელიც მიიღება გადასახადამდე მოგების გამრავლებით 15%-ზე, ვინაიდან მისო დასაბეგრი მოგებიდან არ ქვითავს სესხის გაუფასურების ზარალს.

9 ძირითადი საშუალებები

	საოფისე ფართი	ოფისის აღჭურვილობა	დაუმთავრებელი მშენებლობა	სატრანსპორტო საშუალება	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
ღირებულება					
2013 წლის 1 იანვარი	-	16,043	283,621	-	299,664
შეძენა	14,132	57,518	-	-	71,650
ტრანსფერები	284,291	(670)	(283,621)	-	-
გასვლა	-	(2,758)	-	-	(2,758)
2013 წლის 31 დეკემბერი	298,423	70,133	-	-	368,556
შეძენა	316,385	78,199	-	23,933	418,517
გასვლა	-	-	-	-	-
2014 წლის 31 დეკემბერი	614,808	148,332	-	23,933	787,073
დაგროვილი ცვეთა					
2013 წლის 1 იანვარი	-	2,046	-	-	2,046
წლიური ცვეთა	6,379	7,598	-	-	13,977
გასული მ/საშუალებების დაგროვილი ცვეთა	-	(1,136)	-	-	(1,136)
2013 წლის 31 დეკემბერი	6,379	8,508	-	-	14,887
წლიური ცვეთა	12,703	18,367	-	3,419	34,489
2014 წლის 31 დეკემბერი	19,082	26,875	-	3,419	49,376
ნარჩენი ღირებულება					
2013 წლის 31 დეკემბერი	292,044	61,625	-	-	353,669
2014 წლის 31 დეკემბერი	595,726	121,457	-	20,514	737,697

2014 წლის 23 იანვარს მისომ შეიძინა საოფისე ფართი (მისამართი: თბილისი, ყაზბეგის გამზ. 19ა) 149,500 აშშ დოლარად (266,379 ლარი).

მისოს საკუთრებაში არსებული საოფისე ფართები, სადაც ფუნქციონირების მისი ორი ფილიალი, დაგირავებულია ბანკიდან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად (იხილეთ მე-13 განმარტებითი შენიშვნა).

10 გაცემული სესხები

	2014	2013
	ლარი	ლარი
ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები	2,823,030	1,452,342
უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები	844,071	585,423
ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები	527,855	420,923
კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილი სესხები	65,236	87,444
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	4,260,192	2,546,132
მინუს: სესხის გაუფასურების ანარიცხი	(314,368)	(199,729)
	3,945,824	2,346,403

სესხის გაუფასურების ანარიცხის მოძრაობა 2014 წლის განმავლობაში იყო შემდეგი:

	ავტო- მანქანებით უზრუნველ- ყოფილი სესხები	ძვირფასი ლითონებით უზრუნველ- ყოფილი სესხები	უძრავი ქონებით უზრუნველ- ყოფილი სესხები	კომპიუ- ტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველ- ყოფილი სესხები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
2014 წლის 1 იანვარი	9,456	137,428	25,902	26,943	199,729
გაუფასურების ანარიცხი წლის განმავლობაში	26,490	97,461	27,968	18,547	170,466
წლის განმავლობაში ჩამოწერილი თანხები	(3,734)	(39,085)	-	(13,008)	(55,827)
2014 წლის 31 დეკემბერი	32,212	195,804	53,870	32,482	314,368

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ხელმძღვანელობა აფასებს არის თუ არა გაცემული სესხების გაუფასურების ობიექტური სამხილი და ამ შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს მომავალ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივიდან (მათ შორის უზრუნველყოფის ღირებულებას თუ მსესხებლის მიერ გახორციელებული შენატანები არ იქნება საკმარისი სესხის დასაფარად). გაუფასურების ობიექტური სამხილი მოიცავს მონაცემებს, რომლებიც იქცევენ ყურადღებას შემდეგ გარემოებებთან დაკავშირებით:

(ა) მსესხებლის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;

(ბ) ხელშეკრულების დარღვევა, რაც გამოიხარება პროცენტის ან ძირითადი თანხის გადაუხდელობაში ან დაგვიანებით გადახდაში.

ავტომანქანებით უზრუნველყოფილი სესხები თავდაპირველად გაცივმა 3 თვით, პროცენტის ყოველთვიურად და ძირითადი თანხის ვადის ბოლოს გადახდის პირობით. იმ შემთხვევაში თუ ყოველთვიური პროცენტის გადახდა ხდება ვადაგადაცილების გარეშე, ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება გადავადდება ყოველი 3 თვის შემდეგ. საშუალო შეწონილი თვიური საპროცენტო განაკვეთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულ სესხებზე იყო 4.81% (2013 წლის 31 დეკემბერი: 5.53%).

ძვირფასი ლითონებით უზრუნველყოფილი სესხები თავდაპირველად გაცივმა 1 თვით. იმ შემთხვევაში თუ პროცენტის გადახდა ხდება ვადაგადაცილების გარეშე, ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება გადავადდება ყოველი 1 თვის შემდეგ. საშუალო შეწონილი თვიური საპროცენტო განაკვეთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულ სესხებზე იყო 1.72% (2013 წლის 31 დეკემბერი: 2.01%). ძვირფასი ლითონები დაგირავებულია ბანკიდან მიღებული სესხის უზრუნველსაყოფად (იხილეთ მე-13 განმარტებითი შენიშვნა).

უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები თავდაპირველად გაცივმა 6 თვით, პროცენტის ყოველთვიურად და ძირითადი თანხის ვადის ბოლოს გადახდის პირობით. იმ შემთხვევაში თუ ყოველთვიური პროცენტის გადახდა ხდება ვადაგადაცილების

გარეშე, ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება გადავადებადია ყოველი 6 თვის შემდეგ. საშუალო შეწონილი თვიური საპროცენტო განაკვეთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულ სესხებზე იყო 2.27% (2013 წლის 31 დეკემბერი: 2.78%).

კომპიუტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველყოფილი სესხებითავდაპირველად გაიცემა 10 და 15 დღით. იმ შემთხვევაში თუ პროცენტის გადახდა ხდება ვადაგადაცილების გარეშე, ძირითადი თანხის გადახდის ვალდებულება გადავადებადია ყოველი 10 და 15 დღის შემდეგ. საშუალო შეწონილი თვიური საპროცენტო განაკვეთი 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემულ სესხებზე იყო 15.46% (2013 წლის 31 დეკემბერი: 16.84%).

ყველა სესხი გაცემული აშშ დოლარში.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხი იყო შემდეგი (სესხები, რომელთა გადახდაც აღარ ხდებოდა მსესხებლების მიერ და მისოს გადაწყვეტილი ჰქონდა თანხა მიეღო უზრუნველყოფის რეალიზაციით, კლასიფიცირებულია, როგორც ცუდი სესხები):

	ავტო- მანქანებით უზრუნველ- ყოფილი სესხები	მვირფასი ლითონებით უზრუნველ- ყოფილი სესხები	უმრავი ქონებით უზრუნველ- ყოფილი სესხები	კომპიუ- ტერული და სხვა ტექნიკით უზრუნველ- ყოფილი სესხები	სულ
	ლარი	ლარი	ლარი	ლარი	ლარი
სესხები ვადაგადაცილებული გადახდების გარეშე	367,440	2,302,391	665,370	3,851	3,319,488
სესხები ვადაგადაცილებული გადახდებით	42,241	414,440	158,100	17,167	692,271
ცუდი სესხები	11,242	106,199	20,601	44,218	248,433
სულ გაცემული სესხები (გაუფასურებამდე)	420,923	2,823,030	844,071	65,236	4,260,192
მინუს: სესხის გაუფასურების ანარიცხი	(9,456)	(195,804)	(53,870)	(32,482)	(314,368)
სულ გაცემული სესხები	411,467	2,627,226	790,201	32,754	3,945,824

11 ფული და ფულის ეკვივალენტები

	2014	2013
	ლარი	ლარი
ფული სალაროში	336,546	122,399
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშზე	315	971
	336,861	123,370

12 მფლობელთა კაპიტალი

მისოს ერთპიროვნული დამფუძნებლის გიორგი გუგუმბერიძის 2011 წლის 12 დეკემბრის გადაწყვეტილება #4-ის შესაბამისად, მისოს საწესდებო კაპიტალი განისაზღვრა ფულადი სახით შესავსები 251,083 ლარით.

13 მიღებული სესხები

	2014	2013
	ლარი	ლარი
გრძელვადიანი		
გრძელვადიანი სესხი ბანკიდან	2,356,497	1,233,114
	2,356,497	1,233,114
მოკლევადიანი		
ბანკიდან გრძელვადიანი სესხის მოკლევადიანი ნაწილი	283,955	92,476
სესხები ფიზიკური პირებისგან	896,664	514,150
	3,537,116	1,839,740
სულ მიღებული სესხები	3,537,116	1,839,740

ბანკებიდან მიღებული სესხები 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგებოდა შემდეგი სესხებისგან:

	დაფარვის თარიღი	წლიური საპროცენტო განაკვეთი	თანხა აშშ დოლარში	ექვ. ლარში
სს „თი-ბი-სი ბანკი“ (“TBC-ის სესხი”)	2 აპრილი 2017	12%	1,264,486	2,356,497
სს „საქართველოს ბანკი“ (“BoG-ის სესხი”)	27 აგვისტო 2015	9,5%	152,369	283,955
			1,416,855	2,640,452

TBC-ის სესხი არის საკრედიტო ხაზი 2,500,000 აშშ დოლარიანი ლიმიტით. მასზე დარიცხული სარგებელი გადასახდელია ყოველთვიურად და ძირითადი თანხა გადასახდელია დაფარვის თარიღში. სესხი უზრუნველყოფილია გაცემული სესხებისთვის დაგირავებული ძვირფასი ლითონებით (იხილეთ მე-10 განმარტებითი შენიშვნა).

BoG-ის სესხი უზრუნველყოფილია მისოს საკუთრებაში მყოფი საოფისე ფართებით სადაც განლაგებულია მისოს ფილიალები (იხ. მე-9 განმარტებითი შენიშვნა), ასევე გელა გუგუშვილის და ლიანა ლექვთაძის (მისოს დამფუძნებლის ოჯახის წევრები) საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართებით. სესხის დაფარვა ხდება ყოველთვიური თანაბარი გადახდებით.

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხები შედგება სესხებისგან საპროცენტო განაკვეთით - 13-16%. დაფარვა ხდება ყოველთვიურად, ხოლო ძირითადი თანხის - დაფარვის თარიღში. აღნიშნული სესხები არაა უზრუნველყოფილი გირაოთი.

14 გადავადებული მოგების გადასახადი

გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება არის მომავალში მოსალოდნელ საგადასახადო ეფექტი, რომელიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების საბალანსო და საგადასახადო კუთხით გამოქვითვად ღირებულებებს შორის სხვაობასთან. გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება 2014 და 2013 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო 109,847 ლარი და 52,153 ლარი, შესაბამისად და გადავადებული მოგების გადასახადის ხარჯი პერიოდის განმავლობაში იყო 57,634 ლარი (2013: 52,065 ლარი).

15 საოპერაციო ლიზინგთან დაკავშირებული ვალდებულებები

მისოს დაქირავებული აქვს საოფისე ფართი (თბილისი, ყაზბეგის ქუჩა 31) უწყვეტი საოპერაციო ლიზინგის (იჯარის) ხელშეკრულებით, რომელსაც ვადა ეწურება 2018 წლის 30 მაისს.

წლის ბოლოსთვის, მისოს ვალდებულებები აღნიშნული ლიზინგიდან გამომდინარე, პერიოდების შესაბამისად, არის შემდეგი:

	2014	2013
	ლარი	ლარი
1 წლის განმავლობაში	11,182	10,418
1 წელზე მეტი, მაგრამ 5 წელზე ნაკლები პერიოდის განმავლობაში	27,022	27,781
5 წლის შემდეგ	-	-
სულ სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახდელები	38,204	38,199

16 ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მომდევნო ცხრილში ილუსტრირებულია არსებითი ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებიც გახორციელდა 2014 წლის განმავლობაში და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან 2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2014	2013
	ლარი	ლარი
ტრანზაქციები:		
საპროცენტო ხარჯი	54,425	53,971
ნაშთები:		
მიღებული სესხები	335,448	312,534

ხელმძღვანელობის ანაზღაურება 2014 წელს იყო 21,600 ლარი (2013: 22,000 ლარი).

17 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

2015 წლის 2 აპრილს მისომ სს „თი-ბი-სი ბანკთან“ გაახანგრძლივა ხელშეკრულება საკრედიტო ხაზზე, რომლის ლიმიტია 2,500,000 აშშ დოლარი (ვადიანობა: 24 თვე; უზრუნველყოფა: ძვირფასი ლითონები).